European Bank for Reconstruction and Development

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

Funded by the European Union under its EU4Business initiative

CMS | Capital Market Support

ანგარიშვალდებული საწარმოების მიმართ მოქმედი გამჭვირვალობის პრინციპები

სალომე ქერაშვილი - საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერი, 2022

გალტ&თაგარტი
ვქმნით შესაძლებლობებს

BDO

European Bank
for Reconstruction and Development

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

Funded by the European Union
under its EU4Business initiative

CMS | Capital Market Support

- ვებინარი ტარდება „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.
- „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კაპიტალის და ფინანსური ბაზრების განვითარების გუნდის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.
- პროექტის საკონსულტაციო სამუშაოებს ასრულებს Galt & Taggart, BDO Georgia-სთან ერთად.

გალტ&თაგარტი
ვქმნით შესაძლებლობებს

BDO

განსახილველი საკითხები

1

ანგარიშვალდებული საწარმოების გამჭვირვალობის ჩარჩო

- პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები
- მიმდინარე საანგარიშგებო მოთხოვნები
- კორპორაციულ აქტივობებთან დაკავშირებული/დამატებითი მოთხოვნები

2

მოქმედების სფერო:

- ანგარიშვალდებული საწარმო: საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი
- საფონდო ბირჟაზე დაშვებული ანგარიშვალდებული საწარმო = საზოგადოებრივი დაინტერესების პირი („სდპ“)

ხარისხიანი ანგარიშგების ეფექტი

- ზუსტი, მრავალმხრივი და დროული ინფორმაცია ზრდის ინვესტორთა ნდობას;
- უზრუნველყოფს ინვესტორთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას;
- უზრუნველყოფს ეფექტიანი და გამჭვირვალე ბაზრის ჩამოყალიბებას;
- ხელს უწყობს კაპიტალის ბაზარზე სამართალდარღვევების დადგენასა და პრევენციას.

პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები

წლიური ანგარიში

- ✓ წარდგენის ვადა - 15 მაისი;
- ✓ ფინანსური & მმართველობითი ანგარიში;
- ✓ პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილი განაცხადი;
- ✓ IFRS /"სდპ" აუდიტორის მიერ დამოწმებული;
- ✓ ინდივიდუალური & კონსოლიდირებული (არსებითი სხვაობა შვილობილთან);
- ▪ **ფორმალური ნაწილის შემოწმება სების მიერ;**
- ▪ **დამატებითი ხარისხობრივი შემოწმება - აუდიტის სამსახურის მიერ.**

ნახევარწლიური ანგარიში

- ✓ წარდგენის ვადა - 15 აგვისტო;
- ✓ ფინანსური & მმართველობითი ანგარიში;
- ✓ პასუხემგებელი პირების მიერ ხელმოწერილი განაცხადი;
- ✓ IFRS (ბასს 34) - აარაუდიტირებული;
- ✓ ინდივიდუალური & კონსოლიდირებული (არსებითი სხვაობა შვილობილთან);
- ▪ **ფორმალური ნაწილის შემოწმება სების მიერ;**
- ▪ **დამატებითი ხარისხობრივი შემოწმება - შერჩევით/რისკზე დაფუძნებული მიდგომით.**

Reportal.ge

ერთი ფანჯრის პრინციპი
(SARAS + NBG)

პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები

- **ანგარიშის წარდგენის პროცესი**

მომხმარებლის რეგისტრაცია

www. eservices.rs.ge

ანგარიშგების დამატება

+ ივსება ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

- **აუდიტორის დამატება**

ციფრული ფორმის შევსება სტატუსისა და კატეგორიის შესაბამისად

→ (პასუხისმგებელი პირების (სანდო) ელექტრონული ხელმოწერა ან პირადი ხელმოწერა)

ანგარიშის ატვირთვა

შეუსაბამობის წინასწარი შემოწმება

(!) არ იძლევა შინაარსობრივი უნაკლობის გარანტიას

აუდიტორის მიერ ინფორმაციის დადასტურება

→ 5 სამუშაო დღის ვადაში

→ **ეთითება მოსაზრების ტიპი**

ინფორმაციის წარდგენა აუდიტის სამსახურისთვის

პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები

მმართველობის ანგარიში

- საქმიანობის მიმოხილვა;
- **კორპორაციული მართვის ანგარიშგება;**
- არაფინანსური ანგარიშგება;

(პირველი ზომითი კატეგორიის სდპ-თვის, რომელსაც საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული)

2023 წლის კორპორაციული მართვის ანგარიშგება

- ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა;
- აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა;
- მმართველობითი ორგანოების შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა;
- მმართველობითი ორგანოების მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა;
- ინფორმაცია სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შესახებ;
- კორპორაციული მართვის კოდექსის & კორპორაციული მართვის პრაქტიკის მიმოხილვა

↓

- **სების საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი;**
- **პრინციპი: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“**
- **კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში.**

კორპორაციული მართვის კოდექსი

პრინციპი: **„შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“**

- ორგანიზაციული სტრუქტურისა და ზომითი კატეგორიის გათვალისწინება;
- თუ საწარმოს არ შეუძლია შეასრულოს კოდექსის რომელიმე მოთხოვნა, სასურველი შედეგის მისაღებად უნდა მიმართოს მოთხოვნებთან შესაბამისობის ალტერნატიულ მეთოდს;
- სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია აღწეროს ის ღონისძიებები, რომლებიც მან გაატარა ან აპირებს გაატაროს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად.
- განმარტებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია:
  - დამაჯერებლი/გონივრული და მკაფიო;
  - აღწერს დარღვევის კონტექსტსა და ბექგრაუნდს;
  - აღწერს წარმოდგენილი ალტერნატივის ეფექტიანობას დასახული მიზნის მისაღწევად;
  - აღწერს წარმოდგენილ ალტერნატივასთან დაკავშირებულ რისკებსა და მათი აცილების მეთოდებს;
  - შეიცავს კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადებს.

მიმდინარე საანგარიშგებო მოთხოვნები

ინსაიდერული ინფორმაციის საჯაროობა

მნიშვნელოვანი გარიგებების საჯაროობა

მნიშვნელოვანი შენაძენის საჯაროობა

ინსაიდერული ინფორმაციის საჯაროობა

ინსაიდერული ინფორმაციის მახასიათებლები:

- ზუსტი ხასიათის ინფორმაცია;
- არსებული ან სამომავლო გარემოებები;
- ინფორმაცია საკმარისად განსაზღვრულია, რათა გამოტანილ იქნეს დასკვნა ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე შესაძლო ეფექტის თაობაზე;
- პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ერთ ან რამდენიმე ფასიან ქაღალდს ან მის/მათ ემიტენტს/ემიტენტებს;
- საჯაროდ გამჟღავნების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ფასიანი ქაღალდის ან მასთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

! აკრძალულია:

- ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობა/ვაჭრობის მცდელობა;
- მესამე პირისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემა ან მესამე პირის ინსაიდერულ ვაჭრობაზე დაყოლიება;
- ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნება.

ემიტენტის ვალდებულებები:

- აწარმოებს ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერებს;
- დაუყოვნებლივ ასაჯაროებს მასთან დაკავშირებული ინსაიდერული ინფორმაციას.

ინსაიდერული ინფორმაციის საჯაროობა

ინსაიდერული ინფორმაციის მაგალითები:

- ემიტენტის აქტივებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ემიტენტის დაფინანსების სტრუქტურასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ემიტენტის ბიზნესსაქმიანობა ან მასთან დაკავშირებით არსებული მოლოდინები;
- კორპორაციული მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები:
  - ა) ცვლილებები ემიტენტის კონტროლში ან კონტროლთან დაკავშირებულ შეთანხმებებში;
  - ბ) ემიტენტის მმართველ ორგანოსთან დაკავშირებული ცვლილებები;
  - გ) ემიტენტის მომსახურე აუდიტორების ან მისი საქმიანობისთვის კრიტიკული მომსახურების გამწევ პირთა/ექსპერტთა ცვლილება ან ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები;
  - დ) ემიტენტის საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებული ცვლილებები;
- სამართლებრივი დავები და მასთან დაკავშირებული საკითხები.
- **ინფორმაციის შეფასებისას, გასათვალისწინებელია ინფორმაციის არსებითობა/მატერიალურობა**

მნიშვნელოვანი გარიგებები

მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებები:

+ დაკავშირებული პირები

- ემიტენტის ფასიანი ქაღალდებით ან/და დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებით განხორციელებული გარიგებები;
- თითოეული ამ პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული ყველა გარიგების საერთო (ჯამური) ღირებულება მიაღწევს 20 000 ლარის ზღვარს;

✓ შეტყობინება სებს და ემიტენტს;

✓ ემიტენტი აქვეყნებს შეტყობინებას 3 სამუშაო დღის ვადაში.

მნიშვნელოვანი გარიგებები

სააქციო საზოგადოებასა & დაინტერესებულ მხარეს შორის დადებული გარიგებები:

+ შვილობილი საწარმო (საწარმო, რომელშიც ეს ანგარიშვალდებული საწარმო ფლობს 50%- ზე მეტ წილს)
გამონაკლისი:საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის დადებული გარიგება

დაინტერესებული მხარე:

- **საწარმოს ან გარიგების მეორე მხარის მმართველი ორგანოს წევრი;**
- **საწარმოს ან გარიგების მეორე მხარის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელი;**
- **დანიშნულია ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრად გარიგების მეორე მხარის ანდა გარიგების მეორე მხარის ხმათა საერთო რაოდენობის 20%- ის ან მეტის მფლობელის წარდგინებით;**
- **გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წილის ფლობასთან ან მმართველი ორგანოს წევრობასთან;**
- **ასეთად განისაზღვრება ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წესდებით.**
- ხმის უფლების გამოყენების აკრძალვა
- თუ გარიგების ღირებულება საწარმოს აქტივების ღირებულების 10% ან მეტია, მას ამოწმებს გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი;
- ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო ან საერთო კრება, თუ აქტივების ღირებულების 50% ან მეტია - საერთო კრება;

✓ **გარიგების დამტკიცების შესახებ შეტყობინება ეგზავნება სებს;**

✓ **გამოქვეყნდება ემიტენტის ან საფონდო ბირჟის ვებ-გვერდზე.**

მნიშვნელოვანი შენაძენის საჯაროობა

თუ ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების წილი **მიაღწევს, გადააჭარბებს ან ჩამოსცდება**:
5%-ს, 10%-ს, 15%-ს, 20%-ს, 25%-ს, 30%-ს, 50%-ს, 75%-ს

*** საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდის მფლობელი**

*** ურთიერთშეთანხმებით მოქმედ პირთა ჯგუფის თითოეული წევრი**

*** პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი ხმის უფლებას;**

იმ შემთხვევაშიც, თუ ხმის განკარგვის ან განხორციელების უფლება შეჩერებულია ან ფასიანი ქაღალდის მფლობელი თავად ემიტენტია.

- <u>ვალდებულია შეატყობინოს ემიტენტს და სებს</u>

*(* შეტყობიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა,*

*** ითვლება, რომ პირმა შეიტყო არაუგვიანეს გარიგების დადებიდან ორი სამუშაო დღისა.)*

*** ემიტენტი ვალდებულია <u>საჯარო გახადოს შეტყობინება</u>** (შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა);

*** ემიტენტი ვალდებულია <u>გაასაჯაროვოს აგრეგირებული მონაცემები სააქციო კაპიტალის შესახებ</u>** (კალენდარული თვის ბოლო დღის მომდევნო სამუშაო დღეს)

კორპორატიულ აქტივობებთან დაკავშირებული/დამატებითი მოთხოვნები

- **ინფორმაციის დროულად და ეფექტიანად მიწოდების პრინციპი**

ემიტენტი ვალდებულია გაასაჯაროოს ინფორმაცია:

- საჯარო ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილების შესახებ;
- საჯარო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შესახებ;
- სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;
- სხვადასხვა კლასის წილობრივი ფასიანი ქაღალდის უფლებების ცვლილების შესახებ;
- წილობრივ ფასიან ქაღალდებზე დივიდენდების განაწილებისა და გადახდის შესახებ;
- ახალი წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ;
- აქციათა განთავსების, შეძენის, კონვერტაციის, ან გაუქმების შესახებ.

ემიტენტი ვალდებულია გამოაქვეყნოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების კრებებთან დაკავშირებული ინფორმაცია:

- საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;
- ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ემიტენტს უფლება აქვს გამოიყენოს ელექტრონული საშუალებები, თუ ამის შესახებ მიღებულია საერთო კრების გადაწყვეტილება და უზრუნველყოფილია მონაწილეთა იდენტიფიცირების შესაბამისი ზომები.

რეგულირებადი ინფორმაციის გასაჯაროების საშუალებები

- წლიური და ნახევარწლიური ანგარიშისთვის - www.reportal.ge ემიტენტის ვებგვერდი;
- საფონდო ბირჟის ვებგვერდი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი;
- სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
- სხვა ისეთი საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ძირითადი ნორმატიული აქტების ჩამონათვალი

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი
- ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესი
- ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესი
- საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი

აღნიშნული პრეზენტაცია შეიქმნა კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამისთვის.

„კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კაპიტალის და ფინანსური ბაზრების განვითარების გუნდის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის საკონსულტაციო სამუშაოებს ასრულებს Galt & Taggart, BDO Georgia-სთან ერთად.

© CMS - კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამა.
www.cms.org.ge